

204



თქატრი სსოპრებ




სათყერი სალიტერატურა ქტრნალი



№ 29 — 1916
ქმირა, 17 მკათათს

წალ. მითხა, ფ ა ს ი
გაზოცემისა 12 კაბ

1906



ჰინრიხ თიოდორკაჲ ძე მადვარი
პირველი ასოთჩამოხსმელ ქაზნის
დამუქმნებელი ჩვენში (თბილისში)
1877 წ. ძლიერ ხელს უწყობდა ად-
გილობრივ ფათა—ქართულ, სოხურ
და სხ —ასოების ჩამოსხმა-გაუქვო-
ბესებას და ბეჭდვითი საქმის აღორძი-
ნებას. გარდაიც. 2 მკათათვეს 66 წ-სა.



სახალსო მგოსანი

დავით გუიქვილი

(ჩინ. ამავე ნომერში)



თ. დავით ზაძარ, ზამზამამ
რუს-იაპონიის ომში ფეხში დაიჭრა.
ახლანდელ ომში გერმანიის ასპარე-
ზე ხელში დაიჭრა, მრავალი ჯილდო
აქვს მიღებული, სხვათა შორის, საფ-
რანგეთის საპატიო ლეგიონის ორდე-
ნი. მინდობილი აქვს ქართველთა ცხე-
ნოსანი ლაშქრის ზედგენა.



17 მაიათმე

ნიღაბაფარებულ- თუ. საფეკილეში არ არის ამ მოღაფარებამ. არც კადობანში იქნებამ, — ამ ქეშმარიტების სიმართლეს თითქმის ყველა ჰგონობს, მაგრამ საქმით. კი ძნელად თუ ვნმე ცდობობდეს ჩვენი ეროვნული საფეკილე არ დაიცალოს.

ჩვენებურ მესვეურთა უმეტესობა ისე იქცევა, გეგონება საგანგებო მეჯლისზე შესული ნიღაბისანი იყოს: შიგნიდან სხვა, გარედან სხვა, სიტყვით ერთი — საქმით მეორე, გარე-მხატვრობით თვალის მკრეფი — შინა-ზრახვით — გულის მწყველელი.

ან და — თუ საქმობენ რასმეს უმეტესად საპირადო-სათავისოდ.

იპსე არ დავიდევნ, ესა თუ ის ნაბიჯი ქვეყნის საქმეს მოუხდეს, ხალხისა და მამულის ს.სარგებლო საქმეს შეუწყონ ხელი, — არამედ თავისიანი შეივრდომონ, ყოვლის მხრით დააბურონ — რა გინდ უსარგებლო იყოს, ხოლო მოწინააღმდეგე გჯუფის, ქვეყნისთვის საჭიროც რომ იყოს, — გასთვლიან...

ამიტომაც საფეკილე ჩვენი იცლება — კილობანი ცალიერდება: რწმენა — აზრებით (ანუ უკეთ რომ ესთქება — თინიანობით) შეუთანხმებელნი, ნივთიერად დასუსტებულნი, ნიდაგის ნელნელა დამკარგავნი, სამწერლო, სასცენო თუ სახელოვნო დარგებშიაც ვიცარებით.

მართლაც ჩვენმა მწერლობამ, თეატრმა თუ სხვა დარგის ხელოვნებამ როგორ უნდა ისულდგმულოს, როდესაც ჩვენი სალხის დიდი უმეტესობა ნივთიერად და სულიერად ჩამოქვეითებულია: თავის ოფლით მორწყულ მიწა წყალზე ისეა, როგორც ჩატი ნარზე — არ იცის, რომელ მხრით დაუბერავს ქარი ასაფრენად და მზე-დაკრულივით გაბეცებულია: აცა, ეგება ჩვენმა თნაშაფეულებამ გვიშველონ რამეო; ეს „ნაშაფელები-კი — ჩვენი ინტელიგენციის დიდი უმეტესობა ერთმანეთის ქიშპობასა და ლანძღვა — თრევაში ითენაობამებს, ანუ საკუთარ ნაქუქში შემწყვედელი ზოგოჯერ ნიღაბით თუ გაპოდის მის გულზე...

რომელი საქმე არ გახადეს ჩვენში საშენ-

ჩემოდ: სახალხო სკოლის, კოოპერაციის, და ბოლოს — შავი ქვის...

დღეს არა ნაკლები ბასტი-კუქუ გაუშართვით ჩვენში არსებულ საადგილ-მამულო კომისიის გარშემო, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით გლეხკაცობისთვის დღევანდელ კრძია მესაკუთრების ხანაში ფრიად სასარგებლო დაწესებულებად მიგვიჩნია: იმაზე უდიდესი მოღაფარება რაღა იქნება, სამშობლო მიწა-წყალი, ქართველი ხალხის ფეხდასადგამი ნიღაბი — ნამდვილი საქართველო შენს სისხლ ხორცს — საქართველის მკვიდრ უმიწა-წყალი გლეხობას შეაძენინონ და საუკუნოდ დალუპვისაგან დაიფარონ!..

და იპის ნაცვლად, რომ ამ დიდებული მიზნის განხორციელებას კომისიის წევრნი და გარემონიც უნაგაროდ ემსახურონ,


ყოველივე

მის ნაცვლად

ამ საქმეს სულს უნდა უღვაღდეს გამოცდილი, გამჭირიანი, ჩვენი ქვეყნის ვითარების კარგა მცნობი, საერთო ნდობით აღქურვილი, ხალხისთვის სარწმუნო

პირი. ბევრი ჩვენი მამული პირადი თინიანობით, მოულოდნელი შემთხვევით, სულ უბრალო მიზეზით გადადის უცხოთა ხელში. ამას ხშირად მემამულე — გამყიდავი არ უეკირდება, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი, მამულის დამკარგვის შემსაქტრელი გულის ბოღმის მხოლოდ მამაპაპული შეკუთრებით იყრის, იღანძღება, — გზა-კვალი არ იცის სად ვის მიმართოს!.. მამული კი ნოტარიუსის წესით ანუ სამართლის ძალით გადაითივლის ხელში გადადის...

ამ მხრით დიდი სიფხიზლე და თაოსნობის გამოჩენა მმართველ ხსენებულ საადგილ-მამულო კომისიას; ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მას დიდს მოვალეობას აკისრებს და ესხა მასზეა დამოკიდებული მომავალის წინაშე თავს შეირცხვენს აუ პირნათლად გამოვა: — ნიღაბისან მოღაფედ დარჩება. თუ ქვეყნის ნამდვილ გულშემატკივრად გარდაიქმნება.



კომპოზიტორი

ლიმიტრი არაუიშვილი

მისი ახალი ნაშრომის „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედობის“ გამოცემის გამო.

შეპრები ურთა- მოცენილისა

ს ე ი რ ი

ღრობით განვითავისუფლდი ცხოვრების მიმე უღლისაგან. სახლში ჩემს ბინაზე ვიჯექ და თავისუფლად ვსუნთქავდი. ერთ წამს ვიგრძენ, რომ, თითქო, მეც ცოცხლებში ვწერივარ. მომინდა მზის დანახვა; მზისა, რომელიც კაი ხანია ჩემს ერთადღერთს მანუგეშებლად მიმაჩნია. სახლიდ ნ გარედ გამოვიცი და გავყე თბილისის ერთ დიდ ქუჩას; ჩემს ქვეაში, გასეირნება დავაპირე, რაც ჩემთვის ძვირი ხილია.

ჩვენი სამშობლოს მუდამ მოდიმარე ცა, მერე ის-ი მისის დილაზე, ჯვარისწერისთვის გამოხადებულ პატარძალს მომაგონებდა: კეკელუცად, გულ-ლიად და ნახად გამოიყურებოდა. ხალხი, წეტლები, ხმაურობა და სეერთოდ დიდი მოძრაობა ამ ქუჩის განუყრელ თვისებას შეადგენს. მოძრაობას ხელს უწყობს ათასფეროვან საქონლით აპრელებულ — მოკაზმული მალაჩები.

ქუჩაში მოსიარულე ხალხის სახეზე კაცი მხროდ კმაყოფილებს ბეჭედს დაინახავდა. ოდნე ვგარბობდი ჩემი ძარღვების სიმშვილემ ოც

ამ დროს სრულიად მოულოდნელად, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა პატარა სურათმა,

— სურათმა, რომელიც ყველას ათასჯერ თავის თვალთ უნახავს, მაგრამ გასაკვირველია, მით უმეტეს, აღსანიშნავი მასში არაფერი შეუმჩნევია:

დუქნის დირეზე ჩამომხდარიყვე და ლაზრან დარობდნენ ერთი ოცი-ოც და ორი წლის ახალგაზდა ნოქარი და ზედ მის გვერდით ასე თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი, ორივე ფეშტამლ აფარებულენი. უმცროსი ამისთან მეტად მაღიანად შეეცქეოდა ცალიერ პურს. პურის დანახვაზე მით წინ განერებულყო ერთი, შამშილისგან ძალზე გაღსტული, ქუჩაში მაწანწალა გოშია ძაღლი, რომელიც მეტის ნდომისგან წამიწუმ ტუჩებს აცმატუნებდა და თვალს არ აშორებდა პატარა ბიჭის გემრიელ ლუქებს. მაგრამ ამაოდ: ფიტრად აჩრავს მოსლიოდა მოწყალობის გაცემა; ნატების გადადგმას ვინა ჩივის, ნამცვეციპი-კი არ ცვიოდა ძირს, რომ მით გოშიას მცირედად მაინც სული მოებრუნებინა. აღბად, მშიერ ძაღლს მოპებზრდა აძლონი უყურადღებობა, რამდონიმე ნაბიჯი გადასდგა წინ და ისე დაუახლოვდა პატარა ბიჭის ხელებს, რომ თითქმის თავის პაწაწა ცხვირი პურს ზედ მიავლო.

— მოიკა, მოიკა, რა სერი გიჩვენო! წამოიძახა ახალგაზდა ნოქარმა, თან მაშინვე წამოხტა და აჩქარებით დუქნის უკან კუნქულში შეირბინა რაღაცის გამოხატანად.

წამს არ გავუფიქრა, რომ ნოქარი ისევე გამოჩნდა; მარჯვენა ხელი ზურგისკენ ჰქონდა გაბრუნებული და მასში შვინდის კვტი ექირა მოფარებით. ფეხ-აქრფით მოუახლოვდა ქუჩის ფიქრებით გამრუეულ ძაღლს, მოიპარჯვა ეს კვტი და გამეტებით დასთხლიშა თავში.

ძაღლი ჯერ დაეცა, მერე ბარბაცით წამოღდა, მორთო მისუსტებული ხმაო წკაცილი, ჩანჩლით გულდა ქუჩას და თან ხშირის თავის ქნეფით ცდილობდა აეცილებინა სახლის ნაკაიდი, რომელიც მას თვალებს უზურავდა და მზეს უბნებდა.

— წადი, საცა შენი სთქვა, ჩემოც ექა სთქვი! გამარჯვებულის კოლოთი შიამ ხა ნოქარმა და ზედვე ორთავ მეგობრებმა კმაყოფილების ნიშნად ასტეხეს ხა-ხარი.

კეტზე მეტად ჩემზედ ავ ხარბამა იმოქმედა!

ჩვენი მოზარდნი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ გამარჯვებით; მაგრამ ვისზე? — ამათთვის ეს სულ ერთი იყო.

აღლ. მირიანაშვილი

1907



დავიწყებულა მგოსანი

დავით გიგინეილი

„სახალაოე მჭირდეს მკვდარსა მღებარეს, არგინ მოსძებნის ჩემთვის სამარეს“-ო, —

საოცარის წინასწარმეტყველებით დასწერა თავის თავზე გივიშვილმა, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა 1 მკათათვეს და ამავე ზვის 3 ისე დაკრძალეს, რომ თითქმის არავის შეუტყვიდა,—თითქო უპატრონო მკვდარიაო, სამარის ვაკრაც-კა ძლივს აღირსეს (ისიც დისწულმა) და საჩქაროდ დამარხეს საღამოთი ორიოდ მახლობელ ნათესავისა და ოთხი ჯარის კაცის დახმარებით.

და ის კაცი, რომელიც 45 წელიწადი ქართველ მღბიო ხალხში ავრცელებდა მწერლობის სიყვარულს, ჩვენს პირველ ხარისხიან მწერალთა განახლებას ხელს უწყობდა, ხალხში საუკეთესო იდელებს ჰწერდავდა, რომელსაც მოძმეთა კეთილ სამსახურისთვის „სიტყბოს ფიალა ჯეჟსა გესჯათ“,—პრესაში ერთი სიტყვითაც არ მოუხსენიებიათ (მხოლოდ სამგლოვიარო განცხადება იყო დისა)...

ასეთია ბედი ბრმა და უსამართლო!

და იქნება ასე იმიტომ მოექცენ, რომ იგი ერთი უბრალო, უდიდლო კაცი იყო და სადა, თბილისურ-ხალხური ენით უმღერდა ხალხის ავსა და კარგს?!—ვინ იცის! თითონ მაინც სიცოცხლეში, თურმე, არა ერთხელ უთქვამს: მე ვის რაში მოვფიქრებდი, ერთი უსწავლე კაცი ვარო...

დავითი თბილისის ძველი მოქალაქის სოლომონის შვილი იყო, დაიბადა 1850 წ. 3 გორგობისთვის, ავლაბარში. დედა დავითისა იყო ავლაბრელი სომეხ-გრიგორიანის ქალი, ძველი ქართული მწერლობით აღზრდილი: „ვეფხის ტყაოსანი“, „დავითიანი“, „სახარება“, თურმე, ზედმიწევნით სკოლანი.

დავითი რაოდენსავე ხანს სწავლობდა დარბის მონასტერთან კერძო სკოლაში (მოქართულე სომხის ტერტერამ ასწავლა ქართული და სომხური წერა-კითხვა); თუმცა სწავლის შეძენის დიდი სურვილი ჰქონდა, მაშინ ნოქრად მიაბარა საეკლესიო ნივთები

მოვაკრე ივ. ნახაროვთან, სადაც დავითების წარმოებას შეეჩვია და ქართულის კითხვის უფრო გაიწაფა. შემდეგ კარგა ხანს ქალაქის სასკოლაში მსახურებდა, ბოლოს თბ. საგზარქო სანთლის სავაჭრო სახლში (ავლაბარში).

სწავლა მოწყურებული დავითი, მამის მოწყალეობით, სკოლის გარედ დარჩა და ამას სიმწარით იგონებს:

„სწავლა არ მომცა მშობელმა:
ამით ვარ ტრეჟის მფრქვეველი,
სიძვსცხლე გამწარებულა
და ჩემი ბედის მწვეველი“-ო

მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა, დავითი მაინც თვითგანვითარებას დაეწაფა. იმ ხანად ქართული წიგნები ფრიად მცირე მოპოვებოდა,—ერთად ერთი „ვეფხის ტყაოსანიც“ სიძვირისა გამო მღაბითათვის ხელმოუწვდენი იყო, სამაგიეროდ მაშინდელს თბილისის ვაკრებში ზეპირად ანუ ხელნაწერებად ერცელდებოდა ზაიათები და მუხამაზები (ბესიკის, საიათნოვას, ალ. ქაქუცაძის, ბ. ზართოვის და სხ.), რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ დავით გივიშვილზე.

დავითი 18 წლისა იყო, რომ, ზემოხსენებულ მწერალთა მიზანდევით, საარაყოა ლექსების წერა დაიწყო. პირველი მისი ლექსი დაბეჭედა 1872 წ. 1875 წ. ცალკე წიგნად გამოსცა თავის ლექსთა კრებული „მგოსანი“; შემდეგ მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ცალკე წიგნაკებად ბეჭდავდა თვის ნაწერთ; გამოცემული აქვს: „ზახარა“, „თართი“, „რა დღეში ვართ?“, „საქართველოს სუფრა“, „სანთური“, „წალკოტი“, „თუთიყუში“, „ქოროლი“, „ქოსას ხარა“ და ოცამდე სხვა წიგნაკი,—ზოგი მათგანი მესამე-მეექვსედა დაბეჭდილი.

მისი ლექსები სასიმღეროდ თუ საკითხავად სწრაფად ერცელდებოდა ხალხში და მიიღეს ლექსების წაკითხვის სურვილით ბევრმა მღაბიომ ისწავლა ქართული წერა-კითხვა და ქართული მწერლობის მუდმივი მკითხველი შეიქმნა.

სხვა რომ არა იყოსრა, ამ მხრითაც დეწლი მისი დილია.

მაგრამ დავითი ნამდვილი მოაზროვნე



მწერალი იყო, მუდამო ხალხის ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულების მკოდნე.

მისი ნაწერები როგორც გულსა ჰხვდებოდა, ისე გონებას წრთენიდა, ზნეს ასპეტაქებად.

დავითის პირველი ხანის ლექსები სამიჯნურო და სალხინო შინაარსისაა, შემდეგი დროისა საზოგადო საკირ-ბოროტო საკითხებზე დაწერილი: ბევრი მათგანი იდეური და პოეზიით სავსე.

მისი „მითხარ, მითხარ“, „ბულბულს“, „სასაფლოა“, „ერთი წვეთი“, „სამშობლო ენა“ და მრ. სხვ. დღესაც იმღერებიან. ზოგი ერთი მათგანი გრამოფონზეა გადაღებული.

საზოგადოებრივი უსამართლობა—სოციალური საკითხები, ოჯახური მანკიერება ეროვნული დაცემულება, — ჩვენს მგოსანს ნათლად ჰქონდა შეჩნეული და არა ერთხელ ეტებოდა მათ.

— დავითს გულს უწყლიდა, რომ:
 „ტყუარების მწეშმა-ბატონი
 მეკლი, ტუჩა გამდაჩა! —
 ბოროტის სე ჰეგუგადება,
 სიკეთისა გამხმარა!.“
 რომ აღარა აქვს:

„არც ერთბასს სიმტკიცე,
 არც სურვილი ძიბასსა,
 ეგება მისდევს ბოროტსა,
 ცუდსა მამეზდრბასსა,
 მხეცფიით სადხსა სოტყენ,
 ნაშენ აღამიანსა“

— იგი ჰხედავდა, რომ მდიდარი ღარიბთა ნაოფლოართ მოილხენს და ამიტომ წარბ-შეუხრელად შესძანდა მდიდარ კრიტიკა:

ჩვენის შრომით ფარფარობ,
 ჩვენის მწარე თფლითაო!

— იგი თანამემამულეთა სიღუბურეს ხედავდა და გაბედვით ჩასძახოდა:

„... დედის მავიგრად
 გისაკუთრებენ ძიბასს;
 მშობლის ენას გართმევენ,
 გაზეპირებენ სხვისსა?“

— ახალთაობას მუდამ ჩამღერდა:
 ტირში, ღხინში შენ მომქმსეთვის
 აუგ ფხიხლათაო,
 შენ სამშობლოს გულისთვის
 კახდი მსხვერპლათაო.

ამავე ნომერში ვბეკდავთ მისს ორ ლექსს და აქედანაც დინახავთ, რა რწმენის მწერალი იყო დ. გივიშვილი.

გ —ლი მთელი თვისი სიკოცხლე ხალხში კეთილის დათესვას— მშობა-ერთობის განმტკიცებას ემსახურებოდა. სიყრმითვე არჩეულ ასპარეზს—სამდაბიო მწერლობას იგი არ ჩამოშორდა, თუმცა ღარიბად ცხოვრობდა და ქონების შეძენაც შეეძლო. ერთ თავის წიგნის წინა-სიტყვაობაში ვგვეთხება:

„ზოგთა საჩნა აქესთ სასეადა,
 ზოგთა მკაფაო მტრეთა შემამეადა, —
 და მე ეს ჩსაბა მიჩანს
 სასეადა და საგანებადა..
 ვეკლი ვსახე ქადაღდათა,
 კადამს ვუქმ სეინაბა...
 მე მოგეკვდები — ეს დარჩება
 და წემს სასწავრად ექმება, —
 გივიშვილმა ქვეყანაზე
 მით ირჩია გამდიდრება!“

დიდაც, გივიშვილმა თავისი თავი მწერლობით უკვდავ ჰყო: ეს მაშინ უფრო გამოჩნდება, როდესაც მისი რჩეული ნაწერები შეიკრიფება და გამოიცემა,— ხოლო ცოლი და ოთხი მკირწლოვანი ბავშვი—ორი ქალი და ორი ვაჟი, უფროსი მათგანი 13 წ.—სრულიად უნუგეშოდ დასტოვა. ნუ თუ ჩვენი მწერლობის ნამადღარს მგოსანს კვლავ დავიწყებას მივცემთ და მის შვილებს მიჩნაც არ ვუპატრონებთ!!

ჩვენი ვალოა მათზე ვიზრუნოთ რამ.
 შენ-კი, ხალხის საშოდან წარმოშობილო მწერალო დავით, განისვენე მშვიდად:
 მოგა დრო — მოგავანებუნ და შენც კინობენ!..

ნიოსებ არიმათიელი

დ. გივიშვილის ლექსები

გ უ ლ გ უ ლ ს

დაჯგნა ვარდი გაფურჩქნელი,
 კლას ბუღბუღმა იწყო გღაფა.
 ან! ბუღბუღო, რსითვის სტირი,
 გაზაფხული კიდეგ შოგა



ვარდი შენი გაფურცლდება,
 ისევ ისრე დაშვებდება;
 ებ ტირილი და ებ შოთქმა,
 ისევ ლხინათ შეგონდება,
 შენ დაშტევი ისევ ტკბილათ,
 კისკისითა, ხმითა წვრილათ,
 დივიწკებ უოკელ ხაღველს,
 რავი ხანამ ვარდსა შლილათ.
 მაგრამ რა ვქნა ვარდი ჩემი
 იცნ ველანჭევაუდება,
 ვერც მზის ტქერითა ვერც მის ხმით
 ველანჭევათ აღმოხნდება
 მას მე შინათებს გლახ ტირილი,
 რა ვარ იმედ-გაწვეტილი;
 ტრემლი ანის უხუგეში
 მწუხარების ღვიძლი შეილი!

ს ა ს ა ფ ლ ა ო .

უგელგან მოცნვას სრული სიხუმე,
 სადღ განისვენებს ურიტხეი კვამი;
 დიდხანს ჩაფიქრდი ამის მჭვრეტი მე,
 ვწაველე ამოა ეს დრო და უამი.
 იქ აღარ სჩანდა ღარიბ — მდიდარ,
 ერთივე მიწა უგანებდა,
 საერთო იყო იგი სახადვარი,
 ერთი შეორენ არ აწუნებდა,

თითქო იქ ვეგდა ერთი მეორეს
 გულით და სულით ტკბილათ უნჭვრდა,
 იქ აღარც შური და აღარც მტრობა
 არ აღელვებდა, გულს არ უძტვრდა
 ვით თინი მტერი შერიგებულნი,
 წასულ სიავეს ეხვას ნანობდენ,
 ბოდიშ უხდიდენ ერთი მეორეს,
 ვეას იურიდენ და ვაღაღობდენ.

ზოგან სწნდა ძეგლი უტხოთ ნაშენი,
 მხოლოდ მდიდარი მით ირქოდა.
 გარეგნობითა ის დასაშუენი
 მის შინაგანსაც ეკოთნებოდა?

რას წარვიკითხე ზედა წაწერილი,
 ვინც ვინც იყო მისი სახელი;
 მაგრამ შუეიქმენ ურებ ერთობილი,
 ენახე ღარიბი მის შეზობელი.

ვარქვი: მდიდარი, აკი ამ ღარიბს
 ვითარცა ჭირსა კრიდელი,
 და არ ფიქრობდი რომე ერთ დღეს
 შენც ამსათანა გასწორდებოდი?

დავით გვიგვილი



პორ. ნაკ. დავ. კინაძე

დაჭრილი ოსმალეთის ასპარეზზე, ბრძოლაში. დაჯილ-
 დოვებულია სტანისლავა 3-2 ხარ., მზლით და ბანტიო;
 ანნა 4-3 ხარ., სიმემაკისთვის; წარდგენილია ანნა2 ხარ.
 და ოქროს ხმალზე.

უბრალო გმიტხველთა წერილი

ქართველ-სომეხთა ურთიერთობა

რაც გინდა დიდი და უზარმაზარი მუ-
 გუზალი დავაგლოთ ერთ ადგილზე, არ გა-
 ლევიდება და თავის თავად ჩაიფერფლება,
 ხოლო თუ შემოუხსნდეთ საბერველით და ბერვა
 დაუწყეთ, გაღვივდება და გუგუნს დაიწყებს.
 აი, დღეს სხვა და სხვა ერის გაბატონე-
 ბის მოტრფილენი ერთი მეორის წინააღმდეგ
 გამოდიან და საწყალ, გულუბრყველო მუშა-
 ხელოსანს, გლეხკაცობას ხელზე იხვევენ და
 თავიანთ პირად მისწრაფებთა იარაღად იყუ-
 ნებენ. ასე იქცევიან ზოგიერთი ქართველ-
 სომეხთაგანც და ორ, დღინდინდინ მეზობლუ-
 რად მცხოვრებ, ხალხში სიძულვილის სთესვენ.
 რა თქმა უნდა, შევცნებული აღმიაინ
 ასეთ ბატონების მოწოდებას არ აპყვება...

ჩვენ ორივე ერის მუშა, სოფლის გლე-
 ხებსა და ხელოსნებს დღევანდლამდის მშურად
 გვიცხოვრია და კიდევაც უფრო ძმობა-სო-



ლიდარობა უნდა განვამტკიცოთ ურთიერთ შორის, ჩვენ, ქართველნი და სომეხნი, არამც თუ ერთმანეთის მეზობლებს შევადგენთ, არამედ ჩვენა ვართ ერთი მეორის ღვიძლი ძმა და ნათესალები: ქართველი თხოულობს სომხის ქალს, სომეხი—ქართველისას და ნათელი მირონობით ხომ არც-კი განირჩევიან ურთიერთ შორის მე ტომით სომეხი ვარ, მაგრამ უხსოვარ დროიდან ჩემა მამა-პაპას საქართველოში უტხოვრია: მე საქართველოში ვარ დაბადებული, მე ვარ ქართველის მონათლული; მე შეაეს რვა შვილი, რვავე ქართველის მონათლული.

მე მყავს სოფელ ძეგვში ქართველი მონათლული; მე დავიბადე სომხის ოჯახში, მაგრამ არც ერთი სიტყვაც არ გამიგონია სომხური; მი აღვიზარდა ქართულ ენაზე და

ქართულ ლიტერატურაზე. არამც თუ მარტო მე, ჩემისთანა სომეხი ქალაქ თბილისში ბევრია. ამათ უხსოვარ დროიდან დღევანდლამდე საქართველოში უტხოვრიათ.

ამიტომ, როგორც მე, ისე ჩემისთანა სომეხების სამშობლოს შეადგენს საქართველო. არამც თუ ჩვენ, ქართველნი და სომეხნი, არამედ ყველა ერი, ვისაც-კი ძველის დროიდან საქართველოში უტხოვრია, იმის საკუთარ სამშობლოს შეადგენს საქართველო.

სადაც კაცი დიბადება და აღიზრდება, მისი ბაღდადიც ის არის.

მილოულ გზაზე (დასასრული) იხ. „თ და ც.“ № 15—25

ოქრო. — ცუდად მოქცეულხარ, მაკო, რომ შევიწყუხებია ბენდიერი აღამიანი, რომელსაც ჩემი არსებობა დავიწყებია; აღარ გიხსენებ შენი ოქროს თავმოყვარეობა მაინც? რატომ არა მკითხებ? თუმცა ნახევრად მკვდარი ვარ, მაგრამ იმდენი განება კიდევ შემჩინებია, რომ დამემალა შენთვის იქ წასვლა... იქნება ვიწყრა კოდვც.

მაკ. ოხ, მპატივე, შემობრალე, ნუ მტანჯამ, ოქრო! ეხლა გზაში შემხვდა ის, გენაცვალე, და მითხრა, უსაბულო მინდა ოქრო ვნახო და ამა ხომ უარს ვერ ვეტყვიდი? რომ იცოდებ ხომ აღარ იტყვიდი მაგ სიტყვებს? ქეთინოს ისევე უყვარხარ, ის სასოწარკვეთილებშია. საცაა მოვა.. იქნება კიდევც მოვიდა.

ოქრო რას ლაპარაკობ, მაკო? განა მას ვუყვარვარ? განა ქეთინოს კიდევ ვნახავ სიკვდილის პირსა? ოხ, ზეცავ, შენ ხომ არა მპირდები ამ ნეტარებას?

V

ოგისივე და ქეთინო.
(სტენის პირდაპირ კარები ნელ-ნელა იღვბა. ეტყობა ფიდაცას უნდა შემოსვლა და ვერ ბედავს, უღბად გაიღება კარები და ქეთინა გა-

მხნდება ტისფერ კაბაში. ოქრო წამოიწევეს, მახერდება: ასე ჭეონია ღანდს მოჭრა თვალი და შემდეგ განწირულა სასწაწარკვეთილის ხმათ შეჭკოვლებს. ქეთინა სწრაფად გაქანება და ოქროს ჩაეკვრება გულში)

ქეთ. ოქრო, ჩემო დაკარგული სიტკობება! (შესძახებს ათთაღებულის ხმით)

ოქრო. აჰ, ქეთინო! (გონება ეხნება) ქეთინო, ნუ თუ მართლა შენ ხარ? ისევე გხედავ? ეს არის მაკოს ვაყვედრიდი, ნუ შეაწყუხებ ბენდიერ ქეთინოს მეთქი? შენ კი ფვალე-ბი დაფიილებია?! რა ხელი აქვს ცრემლებს, ან გაცრეტილ ფერს ნეტარ ქეთინოსთან?

ტატ. (ვეად ატანს ამ სტენას და სტოვებს მათ)

მაკ. (გუთხეში სდაცს ამბუზულა)

ქეთ. ოხ, ოქრო, ნეტარებას დავსტირი იმ დღეს აქეთ, რაც აღერსი დამიძვირე, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით და აღარ მალბრსე პატარა ბართი-კი... გარშემო ჩამძხო-დენ: ოქრომ გილაღატა, ოქროს სხვა უყვარს, ოქრო ცოლს ირთავს, აღარც კი ახსოვს შენი სახეო. მეც მიხაროდა, თვმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა პირდაპირ დავკითხებოდი... მოისპო თუ არა ჩვენი ნეტარების კავშირი, სასოწარკვეთილებამ კინაღამ არ გამიტანა, სამშობლოდან გადავიკარგე, მაგრამ გულში მა-



წიკითხეთ ვანიდან გადმოსახლებულთა ეურნალი ზვან ტოსპია. თითქმის ყველა № მოწიწებით მოუწოდებს თავისი ერის ხალხსა: წავიდეთ და მივეპატრონოთო. მაგრამ, მე და ჩემისთანა სომხებს, რომ მთელი ჰაიასტანი გვაჩუქონ, ჩვენ იქ წამსვლელნი არა ვართ და იმათ კი რომ მთელი საქართველო აჩუქოთ ისინი საქართველოში არ მოიცილიან, ისინი ისევ იქ წავლენ სადაც დაბადებულან.

ერთხელ შემთხვევით ჩამოვიარე კრწანისისაკენ. სადაც მოთავსებული ჰყავთ და ინახავენ სომხის დაწოკებულ და უპატრონო გადმოხვეწილთა შვილებს.

ერთ პატარა გოგოს შევეკითხე:

— "შენ დედ-მამა გყავს?"

საწყაღმა გულ-ამოკენესით მიპასუხა:

— მამა მიმიკოეს მტრებმა და დედა

ტყვედ წაიყვანეს; არ ვიცი მკვლარი თუ ცოცხალიო.

აი, მეორე ვაჟმა რა მიპასუხა:

მთლად აგვაწიოკეს, ღირობები გავგვექტენ, წვერილები დაერჩით უპატრონოო". მე შევეკითხე:

— ღირობებთან ერთად რატომ თქვენც არ გაიქცით მეთქი. და აი რა მითხრა:

— პატარა ბავშვებით ვინც წინად გაიქცენ, ბავშვები ვერ ეტარებინათა საკუთარი ნაშობნი თავიანთივე ხელით მდინარეში გადაეყარათ და თითონ გაიქცეულიყვნენ თავის სახსნელათო.

მეგრე თქვენ მადრიელი ხართ, აქ რო გადმოგიყვანეს.

სრულებითაც არა: ნეტავი ჩვენ იქვე

ინც მარტოდ ვატარებდი შენს მშვენიერ სახეს. თუმცა პალიკო შევირთე, რომ გამებედნიერებინა ის, ვინც პატარაობიდანვე შემომტრფოდა, მაგრამ ჩემი გული ისევ შენ შემოტრფოდა. ოხ, ტუბილო ჩემო საამქვეყნო დიდებავ! შემოგწირამდი ცასა და დედა-მისას, ჩემს სიცოცხლეს, სუნთქვას, ნიქსა, ოღონდ კი ბედს შენი თავი ჩემს საკუთრებად გაეხანდა! მაგრამ არა უშავსრა, დამშვიდლი... კარგა ვახდი, დიდხანს იცოცხლე, შემდეგ უიაც შეიძლება ვიყვნეთ მეგობრები, მოსიყვარულე და მოთავყანე და-ძმა!

ოქრო. ჰმ, აგრე გიყვარდი და ისეთი წერილი—კი მომწერე?

ქეთ. (გაბტყება) წერილი მოგწერე?

ოქრო მოიგონე... როდესაც იმ წერილში საბედნიეროდ გხას მილოცავდი და სწორედ იმ წერილის შემდეგ აღარ არის თავის კუთაზე შენი ერთგული ოქრო!

ქეთ. ჩემთვის პირველი გავგონებავ; მე მოგწერე? უარი გითხარი? არა, სცდები, ტყუილად დავიჯერებია!

მაკ. (ძლივს სდგას ფეხზე, ღამის არი წაიქცეს მდღეაგაბისანგან)

ოქრო. მაშე შენ არ მომწერე ის წერილი?

ქეთ. არა, ვფიცავ რაც ჩემთვის წმიდათა-წმიდაა!

ოქრო. (თითქმის დაიდნალებს) მაშ რო მელმა მანე სულმა მომწამლა? ოხ, ის წყეული წერილი რომ არ მომსვლოდა, ვაპირებდი შენთან წამოსვლას, მაშინ კი ერთმანეთს ველარავინ დავაშორებდა!

ქეთ. ნუ სწუხხარ, ოქრო, ქეთინო ისევ შენია, შენი მოსიყვარულე და იცოცხლე და შენის კარგა ყოფნით მეც გამახარე! შენ შემოგწირავ ჩემს არსებას, შენ შემოგწირავ სახელს, შენით ვისუნთქავ, შენით ვისულდგამულე!

ოქრო. (სასწრაფვეთადა) ახ, ღმერთო ჩემო, ნეტა გამაგებინა სიკვდილის პირას მიინც, ვინ მიყო ეს საქმე, ვინ დამოლუა, ვინ გამომასალმა ამ წუთი-სოფეოსს!

მაკ. (სხე საშინლად დაუბნანჭება, სახანლად შეჰკვივლებს და ძირს დაეგება ოქროს და ქეთიანს წინა. ქეთიანს წამოაღება განცვიფრებული) შემობრალეთ! მომისმინეთ! მომეცით შევბა! დამეხმარეთ, მომხედეთ! (ოქრო გაბტყებით უუერებს, ვერ გაუგია, რა დაუბნათა, მაკინეს თამ გაუშვება, სახით შეშლილს დაუშვებსება. ქეთიანებს. ქეთიანთ) ოქრო! შენ აღმერთებდი მაკინეს და ის კი არ იცოლია, რო ღირსი იყო შეჩვენებისა? შენ წმიდანი გვგო-



პრაპ. ვას. პორ. გოგინაშვილი

ავსტრიის ასპარეზე ბრძოლაში იერიშის დროს დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი, ხაშველია, მასწავლებლად ნამყოფი. წარდგენილია პილდორჟიკობაზე.

დავხოცილიყავით და ამ უცხო ქვეყანაში არ ვაღმომოვრებენით. ჩვენ სომხები ვართ და ისევ ჩვენს სასომხეთოში გვირჩვენინან. თუ ცოტა დავიზარდენით, ეს ქვეყანა რომ მთლად გვაჩუქონ, ჩვენ აქ არ დავდგებოთო.

ამას ყურს უგდებდა ჩემი ორი ვაჟი შვილი და, აი, რა მითხრეს:

— ჩვენ რომ მთლად ჰაიასტანი გვაჩუქონ, იქ არ წავალთო, ესენი კი დაუწიოკებიათ და მაინც იქითკენ მიილტვიანო.

ყველამ თავის სამშობლოს უნდა შეაფასოს თავი და ასევე მოიქცევიან გამოქცევი რული სომხებიც. რაღა საჭიროა ეროვნულ შუღლი, მით უმეტეს, როცა ეს საერთოდ საზარალოა.

შეგნებული აღამიანი ზნეობრივად მოვალეა ყველა ერიბთან განამტკიცოს წმინდა

ნა და ჯოჯოხეთშიაც აღარ აქვს აღვლილი? მეყო მოტყუეება, კმარა. დავიღაღე, ოქრო, მე ვარ მიზეზი თქვენის დაწორებისა! მე დავწერე ქეთინოს მაგიერ წერილი. შენს ნაწერებსაც არ ვუშვებდი ჩემს ხელს იქით! ტრეკოსთანაც შენი დაშორება ჩემი ბრალია. ტრეკო კოველ თავის შენი ერთგული ძმაი ყო, მაგრამ მე... მე ჩამოვიღე ქეთით შუაზე. ყველა ეს მოვიქმედე მისთვის, რომ შენ ჩემთან დარჩენილიყავ. მეშინოდა ჩემს გარდა სხვა არავინ დავპატრონებოდა და შენი ჩემდამი სიყვარული არ შეესუსტებინა. მაგრამ რა ვიციდი მე ჩაქოლედიმა; რომ საშიშარ მოლიპულ გზაზე ვიდექი და დღეს თუ ხვალ უფსკრულში ვაღაფარდებოდა; რა ვიციდი, თუ ასე ძვირად დამიჯდებოდა, დავტანჯავდი, ძმის საშინელი მოლაღატე გამოვდგებოდი.. მიშველეთ, შემიბრალეთ! მომასვენეთ, მომკალით, ჩამაქვავეთ! თქვენ წინ დანაშავე მაკინე! (საშინლად ქეთინებს და სასუს ინოკს)

ქეთ. (გარინდებული საგას)

ოქრო. (კიდევ ვერ გამოარკვეულა. უგნაურად მისჩერება სახე შეშლილს მაკინეს. სახე ისე დაუბნანსება, რომ კაცს შეჭნანდავს. რაღა უნდა სთქვას და ენა ებმის. უგება წამო წევს, ასე ჭკონია, ლოკინიდან უნდა გადმოყარდესო, შემიდეტ განწირული, გულის გამგმირაფი აღმოსხვითი დაქემმა)

ქეთ ოქრო შენი ქირიმე! რა მოვივიდა! მაკ. (წამოყარდება) ვი ჩემს ყოფნას! ოქროს გენაცვალე რა მოვივიდა?

ოქრო. (უნდა წამოიწიოს, მაგრამ ძალა ადარა აქვს. ვარტო სრიალი მოისმის.)

ქეთ. ოქრო! შენ გენაცვალოს ქეთინო, კიდევ მითხარ რამე!

ოქრო. (ქვდება)

ქეთ. (ქეთინათ მის გეჟს დაქმნება)

მაკინე (გულშემაფრთხილი დაქემმა იატაკზე)

უ ა რ დ ა .

ეპილოგი

წაეთხული უნდა იქმნას ზეპირად, ძალია მძიმედ და დანჯი ინტონაციით, ზითოსით.)

— მალე მთელ ქალაქს მოედო ხმა: ოქრო სარდინიშვილი გარდაიცვალაო. უკვი მივიწყებული, თითქო ისევ აღსდგა. ყველანი შეიკრიფნენ მისი ცხედრის უკანასკნელად პატისაცემად. დიდი ყოფით ემზადებოდნენ მის დასაფლავებას. დანიშნული დღეც თანაურდობდა მგლოვიარობას. ცა მოწმენდილი იყურებოდა. როდესაც დიდ ქუჩაზე მიასვენებდნენ ცხედარს, მთელი ქალაქი გამოსულიყო პატისაცემად მუსიკა უკარავდა სამგლოვიარო ჰიმნსა და გამოუთქმელ ნაღველს უსადგურებდა მსმენელთ გულში. — მაკინემ ნათლად და-



გულწრფელი ერთობა სოლიდარობა. განა არა კპარა ამოდენა ხალხის უსამართლო ძლევითა და უნიადაგო სისხლის ღვრა.
 რა ვუყოთ, რომ საქართველოშიაც სხვა და სხვა ხალხი ცხოვრობს?

როგორც შევიცარია ერთ სამშობლოს შეადგენს ფრანგების, გერმანელების და იტალიელებისათვის, ისე კავკასია შეადგენს საკუთარ სამშობლოს ქართველების, სომხების, თათრების, ოსების, ლეკებისა და სხ.

და, აი, ჩვენ კავკასიის ყველა ერთი უნდა შევეერთდეთ, განვამტკიცოთ წმინდა ძმური სოლიდარობა და ამ შეერთებული ძალით კი არ უნდა ვებრძოლოთ რომელიმე ჩაგრული ერს, რომელიც მოკლებულია საკუთარ ეროვნულ თავისუფლებას, არამედ იმას, ვინც ბუნებას საერთო ეროვნულ უფლებას.

ბუნებამ შექმნა დედამიწა ვიცხოვროთ ძმურად, მოვსოთ ურთიერთ შორის ქაშაზობა და სისხლის ღვრა. ბედნიერებაც ამაშია!..
 უბრალო შეთანხვება გალუსტ შიხიანი

**

ფიქრითა ვცხოვრობ ოცნების მხარეს, ვესაუბრები ნარანარა მთვარეს; ვიჭურჩულები ვარსკვლავთა კრებას, თეთრს უმღერი ქებათა—ქებას...

ღრუბელს ვადევნებ აღმაფრენასა, სხივთა ციმციის ვსწავლობ ენასა, ცოდან ყურს ვუვდებ ცხოვრების ენას, და ცოდვილ შიწას ვავდებ ზენას.

როცა სოფელში ნიავედარია, ეს არის ჩემი ცრემლი ცხარია; და როცა ნისლი ეზურვის ტყესა, ეს არის ჩემი ფიქრების კენესა.

გული ვერა სთმობს ცხოვრებას მწარეს, ფიქრით კი ვცხოვრობ ოცნების მხარეს..

იკნა — ფშაველი

ტანჯვა-წამება და ქვეაზე შეიშალა. (ზაფხუ) განვლო ზამთარი. ვახაფხულმა კვლავ გააცოცხლა ბუნება. მრავალს ნეტარი აღდგომა გაუთენდა, მისგან შეგება არ უგვრძნია ქეთინოს. ქეთინო აღარა გვანდა ცოცხალ არსებას, რადგან ბედისაგან მწარე სამსახოსა სჯამდა და აჩრდილს დამგზავსებოდა. ოქროს დასაფლავების შემდეგ, პალიკომ დაინახა თუ არა ქეთინოს განწირული მდგომარეობა, მაშინვე წაყვანა სამშობლო ქვეყანაში, იმ იმედით, რომ მალე გადუქრდება სევდა-ვარამს, მაგრამ იქ ყველად ქეთინოს აღუდგა მკვდრეთით, თითქო მივიწყებული გამოინაცხა. აღსდგა რავდინიმე წამით, მერე კი ისევ გაჭქრა და გულში დაუტოვა აღგზნებული საკირე, რომელსაც გარედან სიცხოველე არ ეტყობოდა, შიგ კი უხილავი ცეცხლი სწვ ავდა და ზუგავდა. ვეღარ შეძლო გაწამებულმა ქეთინომ ოქროს დაკარგვა და დაქოქდა. გაწყდა სიმი და აღუსრულდა დიდი ხნის ნატვრა, წლის თავზე ეპირებოდა იქ, სანატრელ უცნობ ქვეყნისკენ გაფრენას, იქ, საცა ბედნიერება ელოდებოდა, სადაც თავის ნეტარება ოქროს გულში სამუდამოდ ჩაეკვრა ოდა. აღარ შეეხებოდათ მოშხამული ენა, არ მოხვდებოდით ბოროტი თვალი

შეძღომის გასწორება: „თ. და ც.“ № 24-ში, პაენის სტენაში გამოტოვებულია რეზარკა (ფრჩხილებში) „ამ დროს გაისმის მომხიბლავი მუსიკის ხმა“. № 26 დაბეჭდილია: **მძრომ**- განა ადვილია სიყვარულის ვიპრობოთ?, უნდა იყოს: „განა ადვილია სიყვარულის **გაძრობა**ო?“, № 27—ში: დაბეჭდილია **პალიკომ**—იქ, სადაც მე ვიქნები, მარტო იქ არის თქვენი ძლიერება: უნდა იყოს: იქ, სადაც მე **გიითიბთ**, მარტო იქ არის თქვენი ძლიერება.“

თუშური ლექსები

გორს იქით ჩრდილო სოფელიო, მზეო ნისლისგან აყრილო, ავამე, ჩემო ნანდობო, გულს უწადინოთ გაყრილო, ჯერ გემდურები მტრის ენავ, შემერე გუნებავ შეცვილიო...

ავამე, ვაჰ, შენ, ქალოო, ნანდობებ შევიყარენით; დილით შეყრილინი ორშაბათს სადამოს გავიყარენით; ვისაც ეწყინა ჩვენ შეყრა, გაყვრილვართ—გაიხარევიო...



ჯარისკაცი

ნიკოლოზ ანდრიაძის ძე ცხალიაშვილი

ფეხის მოკვეთით გარდაცვალა მიხეილის ლახარეთში 22 აპრ. 1916 წ. სოფ. წარაქვიდან იყო.

სიზმარი სანგრებში

(მოთხრობა)

(დასასრული. იხ. „თ და ც.“ № 25-27)

კარგა ხანია რაც თელია ჰპოზიციანზეა.

თუ პირველ მოსვლისთანავე ტყვიამ არ დაინდო, ახლა რაღაც ღმერთი სწყალობდა: ბევრჯერ გადაუტრია საფრთხესა.

ჩვენი ჯარი უკუ იქცა. მაგრამ უფროსისაგან ბრძანება მოვიდა, შეჩერდით და მტერს გაუძლიანდითო. მტერი რა ჩარა იყო.

თედოს ბარი ჰქონდა თანა.

საჩქაროდ პატარა მიწა მოთხარა, ისე რომ თავი და ტანი ოდნავ დაეტყლდა. შიგ შეძვრა. ტყვიანი ზუზუნით მოდიოდა. ამ დროს თედოსთან მოირბინა ახალგაზრდა მისმა ტოლმა პატარა აფიცრმა: შეეხვეწა, მეც მომთავსეთო. ის კი არა, თედომღვივს ეტეოდა შიგა, თედომ იცოდა, ამისთანა ქარიშხალში უფროს-უმცროსობა არ იყო, მაგრამ მორიდებამ და სიბრალულმა სძლია და თავისი თხრილი მას დაუთმო, თვითონ კი იქით გადაირბინა, ერთ ალაგას დაგროვილი მიწა ნახა და მას ამოეფარა.

ამდენ ხანს ბრძოლის ველზე ყოფნამ ძალიან გამოსცადა თედო. ამიტომ ბევრჯერ თავის გამოცდილებით გადაუჩრებოდა ხოლმე სიკვდილსა.

ერთ კვირის შემდეგ ჯარი სანგ-

რებში ისვენებდა. ახალწლის ღამე იყო. ცივი ქარი წუწუნ-ზუზუნებდა და ნამჭერსა ჰყარდა სანგრებში. ჯარის-კაცები მეტად დაღლილი იყვნენ. ამიტომ უმეტეს ნაწილს ეძინა: ერთი მეორეს მისწოლიყო გვერდით, რომ ერთმანეთი გაეთბოთ. დარაჯის გარდა თითქოს ყველას უზრუნველად თავის სახლში ეძინა.

თედოსაც დამჯდარს ჩასძინებოდა. თოფი ილღაში ამოედო, თავი კალთაზე დაედო და მაგრა ხვრინავდა მძიმედ სუნთქავდა, რადგანაც რაღაც კულჩიზმარს ჰხედავდა. ჰხედავდა თითქოს მტერი მოეპარა და ყელში ხელს უქერდა, თითქოს ცდილობდა დაეხრჩო. თედომ უტებდ დაგროვიდა და თოფი მოიმარჯვა. მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, თითქოს აქ არავინ არისო. ახლა ცოტა მარჯვენა დაჯდა, თავის ამხანაგს მიბაჯინა ზურგი და ისევ ჩაეძინა. სიზმრები კვლავ არ ეშვებოდა.

ნახა რომ მისი სოფელი საახალწლოდ ემზადებდა. რაც-კი გააჩნია სოფელს ყველაფერს ამზადებს. ცოტა შეძლებული ღორს დაჰკლავს, ღარიბი ერთ-ორ ქათამს. აი თედოს სახლში რაღაც ფაცი-ფუციო. ელისაბედი ინდოურებსა და ბატებს სწვავს, თითქოს თავის საყვარელს შეიღოს მოელის. ამას წინად თედომ ტყულად-კი არ შეუთვალა სახლში საახალწლოდ იქნებ მოვახერხო ჩამოსვლაო, მაგრამ „კამანდირმა“ ჯერ არ გაუშვა. მერმე გავიშვებო, დაჰპირდა. მაგრამ ამოდ ემზადებოდა ელისაბედი და კიმოთე აისხვა ოჯახებშიაც დიდი სამზადისია. ზოგიერთმა ქვევრიც მოხადა, მაგრამ რა ეხალწლებათ ამ სისხლის წვიმაში, — ფიქრობს სიზმარში თედო, ვინ იცის, ახალწლოწადი კი არა თავისი თავიც არ ახსოვდეთ სოფელშიო. აბა ვილა დარჩა ბებრების გარდა? ქალები და ბავშვები, რომელნიც დასტორიან თავის მშპას, ძმას, ქმარს, აი სიზმარშიაც კი მოაგონდა ალექსანთ ოჯახი: როგორ ატირდა, როცა ვებებრთელა ვაჟკაცი გიგო მოუტკეს, მოაგონდა ისიცა, რომ ხელაანთ ტიტო უსინათლო დაბრუნდა, ორივე თვალით დაბრმავებული და მის ოჯახს მეტი ჩარა არა აქვს, რომ სოფელმა სამადლოდ აცხოვროს. და ბევრი სხვა მავალითი. რაღა შორს წავიდეთ: მისი

ძმა არ იყო, რომ სახლში ვეღარ დაბრუნდა? ამ სიზმარში იყო თედო, რომ ყუმბარა ზედ მის თავზე გასკდა და თედოს ხმაც-კი არ ამოუღია სული ისე დალია.

საბრალო, ახალის წლის გათენებასაც-კი ვერ მოეწვრო!

— კვირა დღეა. სფფლის მეტი წილი ექლესიაშია. რა ამბავია?

მაზრის უფროსმა მამასახლისს უბრძანა, რაც შეიძლება მეტი ხალხი მოკრიბე ეკლესიის გალავანში, საყურადღებო რამ უნდა ვაეცნობო სოფელსაო.

წირვა გამოვიდა, ხალხი გალავანში გამოკრიბა, მაზრის უფროსის მოლოდინში. დიდი კაკლის ხის ქვეშ ბერი კაცებს მოეყარათ თავი და ლაპარაკობდნენ საჭირბოროტო საქმეზე. ცოტა რამ ომზედაც გაისმოდა.

— ნეტა რისთვის შეგვყარა ი ნაწალიკმა. მოვიდეს ი დალოცვილი, თუ მოდის, თუ არა რალას გვაცდევინებს?

— არა იცით-რა, რისთვის დაგვიბარა?

— რა ვიცით, ამბობენ, ქვრივ-ობრებს დახმარება უნდა გამოუვიდესო.

— ნეტა კიდევ არ მოკრიფონ სოფელში სალდათები და...

იქით დედაკაცებს მოეყარათ თავი. მათ წუწუნს სახლდარი არა ჰქონდა. ზოგი სჩიოდა, არაფერი ამაზე ვიცი შეილისაგანო, ზოგი ძმას სწუხდა.

ელისაბედიც ამ მდგომარეობაში იყო. დიდი ხანია რაც თედოსაგან არაფერი გაეგო: რაღაც მოუსვენრად გრძნობდა თავსა, ამიტომ წირვას დაესწრო და ღვთის შობელს შეევედრა: ჩემი საყვარელი და ნუგეში თედო მაინც გადამირჩინეო.

ელარუნების ხმა მოისმა. ხალხი ფეხზე წამოიშალა: „ნაწალიკი“ მოდისო. მამასახლისი ეტლს გალავნის კარზე დაუხვდა. გადმოვიდა მაზრის უფროსი ეტლიდან და იქ მყოფთ გაბრწყინებული სახით მიჰმართა:

— ხალხო! იმითმ დაგვიბარეთ, რომ ჩვენი დიდებულ ხელმწიფე იმპერატორის წყალობა გაუწყეთ. მამასახლისო, აბა დაუძახე.

— კი მოთე და ელისაბედ მარინაშვილებო! — გამოიძახა მამასახლისმა.

კი მოთე და ელისაბედი გამოეხმუნენ.

— მომიახლოვდით. ხელმწიფის წყალობა ყველას ეკუთვნის, მაგრამ რახან თედო თქვენი შვილია, ამიტომ თქვენ უფრო მეტად საწყენო ამბავს გაუწყებთ, მაგრამ წყალობა, ის დიდებული წყალობა, რომელსაც იშვიათი აღამიანი ელირსება ხოლმე, აინაზღაურებს თქვენს დანაკლისსა.

— რა ექნა, ი ბიჭს ხომ არა დაემარათა რა! — ვეღარ მოითმინა ელისაბედმა.

— თედო მარინაშვილი განიგვირატყვიოთა, — სახელგანთქმული სიკვდილით მოკვდა და მიიღო ყოვლად-მოწყალე ხელმწიფისაგან წმინდა გიორგის ჯვარი მეოთხე ხარისხისა! — დაათავა უფროსმა.

— ვაი, შვილო! — დაიკვნესა კი მოთემ.

— შვილი მომეცით, ჩემი შვილი, — მივარდა გამწარებული ელისაბედი მაზრის უფროსს, — რაში შეპრანება ეგ ჯვარი, თუ კი ჩემი ლამაზი თედო არ მეყოლებო!

მაზრის უფროსმა მხრები აიწია, უკან დაიხია და გაიფიქრა: — აი, სულელი, ვერ შეიგნო ჩემთა სიტყვათა დიადი მნიშვნელობაო!

ჩაჯდა ეტლში და გაემგზავრა.

გამწარებული ელისაბედი ეტლს გამოუდგა, თითქოს მაზრის უფროსს უნდა გამოსტაცოს თედო, მაგრამ უგონოდ მიწაზე დაეცა.

კი მოთემ კი მხოლოდ ეს მოახებრა: — ეჰ, ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი!..

მირ. ხარხელი.

—
შეცდომის გასწორება: № 25, მე-6-ე გვ. მე-17 სვ. დაბეჭდილია: „თექვსმეტ კანიანი“, შარავლი უნდა იყოს: „თექვსმეტ განიანი“; შარავლი იქვე მეორე სვ. 9 ჰუკარში დაბეჭდილია „შიშო ოკმელი“ უნდა იყოს: „შაშო ოკმელი“, იქვე 12 ჰუკ. დაბეჭ. შენ დაუკათ“, უნდა იყოს „შენ დაუკა“.



ს ი ტ ე ვ ა

(ხადისინის)

მე რომ ცეცხლივით დამწველი სიტყვა მუზისგან მქონდეს მონიკებულო, ბიწიერებას და სიბოროტეს კდმით შევმოსდი ვაფთვრებული. ყველას აღვიძრავდი ნისლთან ბრძოლისთვის,

გავშლიდი დროშას სინათლისასა, შთავებერიდი სოფელს ლტოლვას ძლიერსა ქეშმარიტებლს ძიებისასა.

შეშინდებოდა მაშინ მსოფლიო და შეკრთებოდა, ვით ბრალდებული, ლოდინს უწყებდა თრთოლივით განაჩენს თავის წარსულზე შენანებული.

სწორედ ამ დროსა, დროსა სიჩუმის, ჩემი თამამი ხმა იკუხებდა, მიმოაბნევედა წყრომის ნაპერწკალს და სიპართლის ცრემლს თვალთ დინებდა. მე წილად არ მხვდა ასეთი სიტყვა.

ჩემი სუსტი ხმა არის უძლური. ჩემს სულს, ბრძოლისთვის განმზადებულსა,

არ ახლავს ძალა ახალგაზდური. დღეს უნაყოფოდ მიტირის გული, და ბაგეს აკრავს ყვედრება მწველი, ვგრძნობ ვერ მივწვდები წინასწარმეტყველს, რადგან მონა ვარ შეუწყვენიელი.

ი. ფერაძე

ვ. გუნიას იუბილე კამო

მოგესხებათ, ამ ცოტა ხანში, განძნახულია ვალერია გუნიას იუბილეს გამართვა. ეს, რასაკვირველია, ფრად კეთილიაზრია, ჩვენი საზოგადოების კეთილ-განხიერებისა და გულუხვობის მანიფესტაცია: გუნიას, როგორც სულგანის, მწერალის და საზოგადო მოღვაწის, მართლაც დიდათ ჰატყვისაცემია. მაგრამ გავგანდებო და გიტყვი, რომ უხეირო დროში გვიხდება მისი იუბილეს გამართვა. იმ დროს, როდესაც საქართველოს თითქმის ნახევარზე მეტი ბრძოლის ველზეა გასული და სისხლსა ღვრის, ხალხი შინ კი ათსგარი ვაგას გვაქვს, რად თქმა უნდა, ამ

დღესასწაულს შესაფერი ელფერი არ ექმნება და უფერულად ჩაივლის. ეს-კი ფრად სანახური იქნება როგორც იუბილიარისთვის, ასე ჩვენი საზოგადოებისა და ბრძოლის ველზე გასულათვის. ამიტომ უმჯობესია მოვიცდეთ და როდესაც ცხიერება თავის კალამტში ჩადგება, მაშინ გავმართოთ ეს ნამდვილი დღესასწაული, არა თუ მარტო გუნიასი, არამედ თვით ჩვენი სტენისაც. იმის ნუ ვიზავთ, რომ ახალგაზდა მსახიობთა გამწვანებლის, ქართული სტენის დანაწიას და ახალგაზრდა მწერლების აღმზრდელის დღესასწაულმა უფერულად ჩაიაროს: გუნიას სახელი და ღვაწლი დიდა და დიდებული იუბილე შევფერის.

ასოთამწყობი ალექსანდრე

ბეკლვის უჩინარი მუშაობი



იქნება ბეკრმა არ-კვი იცოდეს, ბეკლვითი საქმის გაურცვლებასა და რიგინად წარმოებაში რაოდენი მნიშვნელობა აქვს იმ უჩინარ მუშაკს, რომელიც მთელი სიცოცხლე, ხშირად ალტანელ პირობებში მშვიდ-მშვიდრავალი, ერთფეროვან მუშაობით მოკატყული, თითქმის

ასოთამწყობი
ზაქარია კოტეტიშვილი
(† 1916 წ.)

მულამ ბნელში მყოფი, კაცთა გონებრივ-ზნობრივ წინსვლას ემსახურება.

ეს ასოთამწყობია, ურომლისოდაც ბრძენ-მეცნიერთა აზრები ქვეყნის ვერ მოეფინებოდა, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ვერ გამოვიდოდა.

დიად, ფრად დიდმნიშვნელოვანია ამ უჩინარ მუშაკთა მუშაობა და განსაკუთრებით ამ ორმოციოდე წლის წინად ჩვენში ხომ ცის მანანა იყო, მაშინ, როდესაც ჩვენ



ბეჭდვითი საქმე ახალად იღვამდა ფეხს: მწერ-
ლები და გამომცემლები თუ სახელ-დიდებას
იხვეჭდნენ, ეს უჩინარი მუშაინი სახელ-დიდე-
ბასაც მოკლებულნი იყვნენ და შესაფერ სა-
ზროლო-კვილოხსაც.

ერთი ასეთი მუშაკთაგანი იყო ზაქარია
კოტეტიშვილი, რომელიც 5 წ. ასოთამ-
წყობად მუშაობდა სტამბაში და ზ. კიკინა-
ძის მოწმობით (იხ. მისი „ქართული სტამბა
1627—1916 წწ.) ს. მესხს ვაზ. „დროების“
გამოცემაში დიდათ ეხმარებოდა. იმ დროს,
ე. ი 70—80-იან წლებში გაზეთის იმდენი
შემოსავალიც არა ჰქონდა, ქეღაღდი ეყიდნა,
არა თუ ასოთამწყობისათვის მიეცა რამე.
მუშა ზაქარია, გაზეთის სიყვარულით ვატა-
ცემული, მუდამ ერთფულად აწყობდა გაზეთს,
რითაც ძლიერ ხ ლს უწყობდა ჩვენნი ეროვ-
ნული გათვითცნობიერებისა და ქართული
პრესის წინსვლის საქმეს.

ასეთი მუშაინი არ უნდა ავიწყდებოდეს
ერს, მაგრამ...

ის მუშა-კაცი, რომელიც 5 წ. უჩინრად
და უყვირლად ემსახურებოდა ქართულ კულ-
ტურულ საქმეს, არა თუ გვირგვინ-სიტყვებ-
ით შეამკეს, ზეიძით დაიკმაძეს, არამედ
საავადმყოფოში გარდაცვლილ, სრულიად
უპატრონოდ, თვით ნათესავთა და თანახე-
ლოსანთაგანაც დაუტოვებელი დაიკრძალა...

ასეთი უმადური სოფელი...

ნეტარება შენი სურის სიძლიერეს, უჩი-
ნარო მუშაკო, ზაქარია, რომ საქვეყნო საქ-
მეს ემსახურებოდი უჩუმრად, უყვირლად,
უანგაროდ...

ნეტარ ხსენება სახელსა შენსა!..

ი ე ლ ი



საბჭოთა მალ-ალბანი, თათრული ოპერეტა 4 მოქ.
პატივგვავისა, თარგ. ვ. გიგოშვილისა, 30 თიბათვეს
ხ. რფუხის საზოგადო კლუბში მეთედ წარმოადგინეს
და მაინც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ასევე თა-
თრულად და სომხურად მსხი წარმოდგენის დროს პიესა

მარტივია, სამიჯნურო შინაარსისა, ხალხის ცხოვ-
რებიდან ამოღებული და ჩვენვე მდამიო მოქალაქეთა
საყვარელი მუსიკით შეზავებული. თარგმანის გასუფ-
თავება ეკრება, შესრულების მხრივ—ხმათა სისუსტე
ენხელავ; მიუხედავად ამისა, ხალხს მაინც მოეწონა და
მოსწონს. პიესის ასრულებდნენ სცენის მოყვარენი, ზო-
გიერთნი ისეთნი, რომელნიც მხოლოდ პირველად ამ
ოპერეტაში გამოსულან. როლებს უფრო ბუნებრივად
და სადათ ასრულებდნენ ვ. მარგველაშვილი (თელი),
ნ. მირველოვი (ვალი) და ა. უმბრივი (სულეიმან).
მ. გიგოშვილისა (გულხარა) როლი სასებებთ შეგნე-
ბული აქვს, მაგრამ ხმის ბეკრათა სისუსტე აუფერუ-
ლებს, მ. ჯანველოვსა (აკარ) და ნ. ნადირაძეს (იასია)
ხმის გაწოთვად და მიხვრ-მოხვრის განვითარება ეკირე-
ბათ. დამაწრთე ორივეს ზოგიერთი ადგილები (ეკვე-
სიმღერა) გაუმორებინეს. ო. ფეიქაროვი (ხალა) უმპვე-
ლია თავის როლს დასძლევს, მეტის ყურადღებით რო
მოექცეს. ძველი სცენის მოყვარე ი. გიგოშვილი (სულთან
ბეგი) უფრო მეტად უნდა სცემდეს პატურ სცენას: გა-
დამეტებული მანქვა-გრეხვა, სქესისებუ გარბობა-
თა გამაღიზიანებელი მიმოხვრა არ შეჭფერის, არც ისაა
კარგი, როლის შესაბამად რო არ უტირავს
თავი; ალბად მიტომ თუ გადიოდა წრეს, რო მისი
მდგომარეობით ხალხს იცინოვად!

თარგმანი რო შესწორდეს, და ზოგიერთი შეუ-
ფერებელი სიტყვები გამოაკლდეს, მომღერალთა ხმა
და მუსიკა დარბანეთს შეეწყოს,—ოპერეტას მუდამ სია-
მიგნებით დაესწრობა ხალხს: ალბად ხალხი მოწყურე-
რებული ნაირ სანახაობას—ეკვა-სიმღერასა და მე-
ტყველება-მუსიკას, ერთმანეთში შერთულს. ეს ვარგო-
ება მხედველობაში უნდა იქონიონ ჩვენი სცენის მუშაკთ.

უხანალო.

სოფ. ლხანანდრავოში (სენაკის მაზ.) 3 მკა-
თათვეს ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ წარ-
მოადგინა „მოტყუებულნი“. ბ.მა ხანინდრავამ სიკოიას
როლის კარგა შესრულებით ძალიან ასიამოვნა დამს-
წრე საზოგადოება.

წარმოდგენის შემდეგ აკაის სსოვნის აღწანიშნა-
ვად გაიმართა სლამო. სცენის ამშვენება აკაის სუ-
რათი. მშვენიერი მოხსენება წაიკითხა თომა გაბუნიაშ,
რომელმაც ხალხს გააცნო აკაკი და მისი ნაწარმოები.
ამის შემდეგ ახალგაზდებმა წაიკითხეს ლექსები. ამ
წარმოდგენა-სლამოს გამართვისთვის მადლობის ღირ-
სია ადგილობრივი ინტელიგენცია და განსაკუთრებით,
თომა გაბუნია, რომელიც ითვლება ყველა კულტურულ
საქმის ინიციატორად. ერთი შენიშვნა: წარმოდგენის
დროს კულისებიდან იკტირებოდნენ ბავშვები და მო-
ზრდილები, რითაც შეათბეულეს არდღედდენ. ამას
შემდეგისთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ხალხი
ბევრი დაესწრო და ღამის 12 ს. ნასიამოვნები დი-
შალა.

სანჯანელი

ხონის თეატრში ოთხშაბათს, 29 თიბათვეს გა-



იმართა მესხეთე მორიგი წარმოდგენა. დასდგენ „პარიზელი ბიჭი“ 2 მოქ. და ვიდ. 1 მოქ. „დღითი“. კვირას, 3 მათათვეს წარმოდგენილი იქნება: „მეორედ გასაწყობელი“. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ მოწვეული მსახიობნი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. ხალხი წარმოდგენებს ამ ზღვხულს ძალიან ბევრი ესწრება. ეს ფრთად სასიამოვნო მოვლენაა, რასაც ანგარიში უნდა გაუწიოს აქაურმა დრამატ. საზოგ. გამგეობამ და წარუღუს თუ არა, შემრისისათვის მაინც უმეტესად გადაიტანოს სცენა სხვა უკეთეს და ფართო დარბაზში, რომ უფრო უკეთესად და სასურველად მოწყვეს წარმოდგენების საქმე. ამ მიზნ თ უსურვედ აქაურ დრ. საზოგ. გამგეობას დღევანდელბას, რომ ნაყოფიერ მუშაობისათვის დროით მოექიდოს ხელი. შემთხვევით დამსწრე.

დ. ჩხობატაშვილი

არა მეგობარ, ამ ხანად მიუღ საქართველოში მთავრებულად ესეთი დაბა, ასე განსწკთ, სოფელიც კი, რომელიც დღევანდელ მნიშვნელობას თეატრალური ცხოვრებისათვის დადს ფასს არ უმთავრებდეს და „ცხოვრების საწყობი“ ჩასახვლად, სხვათადაც კი უსწორ-მისწორბის განსაფხტავად თეატრის დაბა-ზში ხალხს თავს არ უყრდავს. სამწუხარად დ. ჩხობატაშვილის თეატრის მმართველად და სცენის მოყვარეთ ეს ვერ შეუყენიათ და სინამდის დატონებინა მამის, რადესაც ამ გვარი შრომა მეტს საჭირბობას წარმოადგენს. თუ ეს მართალი არ არის, მაშ რითი აუხსნათ ის გარემობა რომ ამდენი ხნის განმავლობაში ერთი წარმოდგენა არ მოაწყვეიათ. შეიძლება ისინი სახალადაც კი უსულბას, და სიკრთო მწუხარებას აწკრებს; შეიძლება საბუთად ძალთა სიმცირეს, ხალხის უსაქმიანობასაც ასახელებდნენ, მაგრამ, თამამად ვიტყვა, რომ ასეთი დებელება სრულად უსაფუძვლო იქნება, რადგან შემძლე ძალები მოიძებნებიან, ხალხიც ზურგს არ აქნევს. მაგრამ თვით ეს ძალები გაუუხებულან, ინდიკატორბობის ნაპერწკალი გაჭქრბობით და ხალხის ამ ხრავ შესვეურბობის უმნიშვნელოდ სტოგებენ. მართალია, სოციურბობა რამე საქმეში მონაწილეობის მიღებას მეტიინობის, სიძალბობის უწოდებენ, მართალია ცნუდ მხარის მიხალება სააკის (სამწუდარბა ის, რომ ეს „ზოგა“ ინტელიტენტბატან შესდგება) საზინდრბობად მიანია, მაგრამ ჩსაცა ქიშხობა არ არის, იქ საქმე არ გკვეთდება და, ამისათვის, ნუ მიხედავთ ამ მირთა უსამართლიანბობასაც, მიხედავთ თეატრალურ საქმესაც და მით

ხალხის დაწვლეუბულ გუეს გრბობა-გონებბის გამადადალებული მალბამო მოფცხობით. ეს იქნება ფრთად დირწმესისხნაზავი, ეს იქნება მოვალბობის მტკიცედ შეტეება. **მიზო**

წვრილი ხმები

➔ **დღეს ახალ სენაში** თეატრის ურთხვევა განზრახული.

➔ **ბაბუს დარბ.** წამ მამავალი სეზონისთვის ემზადება, მოლაპარაკება აქვს შალვა და სინონან,

➔ **საბარბოვო** 17 მკათათვეს გაიმართება სეირნობა საფეიქრო სკოლების სასაგებლოდ, 28 მკათათვეს წარმოდგენილი იქნება „დამარცხებულნი“.

➔ **პიო. მოქმედბინი დარბა** „დაქროლი ბრბი“ ს. ერთაწმინდელისა მეფის ნაცვლის სამპროფელის მიერ ნება დართულია სცენაზე წარმოსადგენად.

➔ **ილიკო ძახახული**, მოხეტიალე მუსიკოსი, უკვე იყო ვარეჟებოში, სოფ. საგარეჯოში, სადაც უკრბობა ბავშვები, ხმა გაუსინჯა, კეთილმოვანების შევდენიმე გაკვეთილი მისცა, ხოლო უფროსთ — ხმები შეუსწორა, ვეროპოული ჰანგები გააცნო და სხ. მისი აზრით ზოგიერთი ქართული სიმღერა შერყენილია, ამას ყურადღება უნდა მიექცეს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ხალხი ბუნებით მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულია და სამწუხარო იქნება ერთგული სიმღერა—, ჰანგები რო შერყენს. ილიკოს გადუწყვეტია საქართველოს სოფლები შემოიაროს. საქმის უკეთე მისაწყობდ ნივთიერი დახმარება ეტირება. რადგან საზოგადოების მხრით ჯერ არაფერი დახმარება მიუღია, ფიქრობს რკინის გზით მოვზაურბობის დრის მატრბებულში დაუტარა ხოლმე და სახარჯო ის შეგაროვოს.

➔ **ლადო აღნიშვნის** თხუთხელმა ქართული ფფერია „ტარიელი“ 3 მოქ. და 10 სურ. მამალ. მირინაშვილმა სათეატრო მუხემისთვის გადმოცეცა.

➔ **მგოსანი ბელა** სამხედრო სამსახურში გაიწვიეს (სარატოვში).

➔ **ხა იმისი**, ვითომც თბილისში მომავალი სეზონისთვის ანტრპრბობის შედგენას აპირებდეს მსახიობი ალ. იმედაშვილი.

➔ **სამხიდრო სამხახური იწვივინ** ბევრს ცნობალი პირს—ტურნალობტებს, საზოგადო მოღვაწეთა ექიმთ, ვეჟოლთ და სხ., სხვათა შორის მგოსნებს: ს. აბაშელს, ი. გრიშაშვილს, გ. ქუჩიშვილს, მსახიობთ ალ. იმედაშვილს, ი. ზარდალიშვილს, პ. კარიშელს, ა. მურუსიძეს, ა. ყალბაგვიშვილს, შ. ხონელს, გ. საარულს, ი. თარაღაშვილს და სხ.

➔ **გასული კვირის ნომრის** მე-7- გვ. პირველი გვერდის ზვეით ნაწილის პეკრები გაკარეული, მეათე პეკარინა „სათეატრო საქმე და“ დასხვა პილომდე — ჩვენს კურნალ-გაზეთებში“ ბს. ზვეით უნდა გადავიღეს. ავეჯ ნომრის მე-15-ე გვ. ბოლოში დაბეჭდილია „არ ფაფერიო“, უნდა იყოს: რაფერიო.



→ **ავლაბრის თეატრი იქიდავა.** როგორც შეეცადა, ვიღაც გიგალოვის ხელმძღვანელობით ტაბრჯიან-ლიბეგოვები ყიდულობენ ბ მურაშკოსეულ ავლაბრის თეატრს. ცამეტი წლიანია, რაც მურაშკომ თეატრი ააწენა და ამ წნის განმვლობაში მუდმივინა ჰქონდა ქარ წარმოდგენა, ამიერიდან კი, რადგან ახალ მიდევლთა მიზანია სრულად დააქციონ და სხვა შენობა ააშენონ, ქართულ წარმოდგენების მართვა ისპობა. ნუ თუ ქართველი სახალხოებმა ანუ ეინმე კერთა პიიი არ გაბოზნდებ, რომ შენობა ისეთ პირთა ზეშლი არ გადავიდეს, რომელნიც ყველთვის სტილიობენ თავის გამდიდრებისათვის ყოველგვარი სახოვადო საქმის ხელის შეშლას.

მიზნობრობა

ჩვენს საშუსიკო მფარლოზის დარბს ჩვენმა დაუდალავმა და ცნობილმა კომპოზიტორმა დ. არაყაშვილმა კიდევ ერთი ძვირფასი ნაშრომი შესწდინა. ახლახან მოსკოვში გამოვიდა მისი „ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედება“ (Грузинская Народное Музыкальное Творчество), რომელშიაც მოთავსებულია 225 ხალხური სიმღერა და 89 სხვა და სხვა დასაკრავი ჰანგი. აქ მოთავსებული ს მღერა—ლეკები შეუყრფეია აღმოსავლეთ საქართველოში, ჩრდილო კავკასიას, მთიულთა შორის და დასავლეთ საქართველოში. წიგნში ქართულ სიმღერა-ლეკთა ტექსტების (ქართულად და რუსულად) გარდა მოთავსებულია ჩვენი კომპოზიტორის მშვენიერი მიმომხილვანი „ქართული სახალხო სიმღერა და ქართველთა კულტურა“, და ჩვენის ჭვეენის სხვა და სხვა კუთხის შესახებ მისი წერილები. სურათებით წიგნი დართუ ზომისაა, შეიცავს 300 გვ. (ბოლოზე დართულ აქვს ბიბლიოგრაფიული ცნობები—301—304 გვ.) და ღირს 3 მან. რაიცა ჩვენს დროში ძლიერ მცირე ფასად უნდა ჩაითვალოს. როგორც ვსთქვით წიგნში თავმოყრილია ჩვენის ჭვეენის თითქმის ყოველი კუთხის ხალხური სიმღერა—ლეკები, სამშობლო მუსიკის მოყვარულთ სიამოვნება—სიამაყით ავსებს. ამიტომაც ფრიალ სასურველია ეს წიგნი გავრცელდეს.

ვესურებთ ჩვენს დიდთ პატივცემულ ავტორს, დ. არაყაშვილს დღგრძელობა და ასევე დაუღეგარ მუშაობას

ი—ლი

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ახალ ქალაქის საზოგადო კლუბი
შაბათს, 16 მათათმის
ნაძალადების სცენის მოყვარეთა მიერ, აღგალობრივ საკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

„რას მიწაბაზს გეზარ ნახაბ“

კომ. 3 მოქ. ა. ცაგარელისა
მონაწილეობენ: ქ. ქ. გოგაშვილისა, ქსენია კამკამიძე, ნინა კამკამიძე, ბბ. გ. ჯაბაური, ალ. გოგაშვილი, ი. კანდელაკი, ი. ძნელაძე, ა. ძაძაძი, ს. მელიქიშვილი, გრ შა შაგშიშვილი, იოს ნაფროზაშვილი, ე. კაციტაძე, ნ. კარბუსაშვილი, შალვა იმედაშვილი და სკ
დღევრტის მენტი. რეჟის. ი. კანდელაკი
გამგე ი. ტორიკაშვილი.

ახალი კლუბი 1 მკირის პროზ 17-24 ივლისს

ორშაბათი — რუსული ოპერეტა
სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი
ოთხშაბათი — სინემატოგრაფი. სიმფ. ორკესტრი
ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას.); ორკეს.,
პარასპ. სინემატოგრაფი. სიმფონ. ორკეს.
შაბ. — სიმფ. კონცერტი
კვირა — საბავშვო საღამო, ორკეს. სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.,
წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 ს.
სწესისაშველი ფასი ჩვეულებრივია, მხოლო-სამშაბათს და შაბათს იხიდან: მანდილოსნები და ტულენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

ხარუშენის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)
ერთი კვირის პროგრამა 17-24 კათათვემდე
კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მოწაწილეობით; სახანდარი.

ორშაბათი — სინემატოგრაფი; ორკესტრი.
სამშაბათი — სინემატოგრაფი სიმებიანი ორკესტრით.
ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა; ბალეტი—ორკესტრი.

ხუთშაბათი — ზარზინ მალაონა ქართულად
პარასპევი სინემატოგრაფი. ორკესტრი.
შაბათი — საოჯახო საღამო
კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მოწაწილეობით; სახანდარი.

წარმოდგენა-კომედიისაზე შესვლა უფასოა.

